



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი:ო31.31221251

თარიღი:05/05/2022

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ოქმი N7

ქ. ლანჩხუთი

28. 04. 2022 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ვერიკო კვიციანი და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდლობაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ეკა გუჯაბიძე, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ია ჩხაიძე, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს და მიმართა სხდომაზე მყოფთ წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ ომში დაღუპული ადამიანების ხსოვნისთვის. მან ასევე აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ შემოვიდა ექვსი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ღონისძიებათა

2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ლოლიტა ურუშაძე/

3. „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისაგან (GIZ) გრანტის მიღებაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის (პროგრამული კოდით 02 11) პროგრამის განხორციელების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ეკა გუჯაბიძე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** მოუწოდა ბიუროს წევრებს აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ია ჩხაიძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4. „სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის

ორდენოსანი ვაჟა თოდუას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა- დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

6. „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში (გარდა სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მოქცეული ტერიტორიისა) II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი II კლასის დამხმარე ხასიათის შენობა-ნაგებობებისთვის და II კლასის ღობეების მშენებლობისათვის (რეკონსტრუქციისათვის) მშენებლობის დეტალური შეტყობინების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

8. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

10. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ (ს/ნ 233731478) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

11. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2022 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ლევან ჩხაიძე/

12. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე”
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

13. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე”
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

14. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს
ლონისძიებათა 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ლოლიტა ურუშაძე/

15. „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისაგან (GIZ) გრანტის
მიღებაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

16. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის (
პროგრამული კოდით 02 11) პროგრამის განხორციელების შესახებ“ ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული
წარმოების დაწყების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

17. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა
მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების
დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25
დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ეკა გუჯაბიძე/

18. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის
დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების
დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

19. სხვადასხვა საკითხები

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ
გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.**

მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის – განათლების
ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და
ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი
თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააუცნო
მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის

უფროსმა ია ჩხაიძემ. მან განმარტა, რომ ზემოაღნიშნულ დადგენილებაში ცვლილება განპირობებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სადაც აღნიშნულია, რომ მიმდინარე წლის 21 თებერვალს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებით შეიცვალა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ განსახორციელებელი პროგრამების დასახელებები. შესაბამისად პროგრამების განმახორციელებელი სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თანხვედრაში მოვიდეს ცვლილების პროექტით გათვალისწინებული წესი, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

ა) დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.“

ბ) დადგენილების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესი, დანართის შესაბამისად.“

გ) დადგენილების 1-ლი მუხლით დამტკიცებული დანართის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესი“.

დ) დადგენილების 1-ლი მუხლით დამტკიცებული დანართის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის“ 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

ზოგადი დებულებები ეს წესი არეგულირებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრულ - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ხელშეწყობის; სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან - განათლების, კულტურის და სპორტის სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების დაჯილდოების, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების დაფინანსების მიზნით, თანხის გაცემის წესს.“

ე) დადგენილების 1-ლი მუხლით დამტკიცებული დანართის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის“ მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6.

გამარჯვებული გუნდის ან/და ინდივიდუალური მონაწილის დაჯილდოება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ ორგანიზებული - საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების მონაწილე გამარჯვებული გუნდისა და ინდივიდუალური მონაწილის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) გუნდი: I ადგილი - 500 ლარი; II ადგილი - 300 ლარი; III ადგილი - 200 ლარი;

ბ) ინდივიდუალური მონაწილე: I ადგილი- 300 ლარი; II ადგილი - 200 ლარი; III ადგილი - 100 ლარი.“

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N10(28.04.2022)**

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან განმარტა, რომ ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენება და აღრიცხვა-ანგარიშგება ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და შემდეგი წესის საფუძველზე:

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა, ფორმებით მომარაგება, გაცემა და დაბრუნება:

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს აქვს ინდივიდუალური ნომერი და წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის ფორმას.
2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების წარმოების, ორგანიზებისა და ფორმებით მომარაგებას ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სათანადო წესით უფლებამოსილი პირი.
3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმას „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრაციისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი/სათანადოდ უფლებამოსილი პირი წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს განცხადების (წერილის) საფუძველზე, რომელიც უნდა შეიცავდეს: ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლში მითითებულ მოთხოვნებს; ბ) ინფორმაციას მკაცრი აღრიცხვის ფორმის სახელწოდებისა და მიზნობრივი დანიშნულების შესახებ; გ) რეგისტრაციისათვის წარმოდგენილი მკაცრი აღრიცხვის ფორმის ნიმუში გაყალბებისაგან დამცავი ყველა ნიშნის აღნიშვნით; დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დასკვნას მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნიმუშის (პროექტების) შეთანხმების თაობაზე, შესაბამის ნიმუშთან (პროექტთან) ერთად; ე) მკაცრი აღრიცხვის ფორმაზე აღნიშნული უნდა იყოს ფორმის დამამზადებელი პოლიგრაფიული საწარმოს და დამკვეთის სახელწოდება ინიციალებით, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციალები „სემგს რეგისტრაციის №“.
4. მკაცრი აღრიცხვის ფორმები (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები) ინახება სპეციალურად გამოყოფილ და სათანადოდ დაცულ ადგილას.
5. სათანადო წესით უფლებამოსილი პირის მიერ ოქმების გაცემა, დაბრუნება და გაუქმება აღირიცხება შესაბამის ჟურნალში.

მუხლი 3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსება და საქმის წარმოება:

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს სათანადოდ უფლებამოსილი პირი ადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული, თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული სამართალდარღვევის ფაქტების გამოვლენისას.

2. ოქმი დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან: ა) ერთი – საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობებთან ერთად დაუყოვნებლივ ეგზავნება განხილვაზე უფლებამოსილ პირს (ორგანოს) და ერთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს; ბ) მეორე – ჰბარდება სამართალდამრღვევს შესაბამისი ხელის მოწერით ოქმის ეგზემპლარის ჩაბარების შესახებ, ხოლო სამართალდამრღვევი ესწრება ოქმის შედგენას; გ) მესამე – რჩება ოქმის შემდგენელთან.

3. ოქმი ივსება მუქი ფერის ბურთულიანი კალმით. ოქმში ყველა ჩანაწერი კეთდება გარკვევით, დაუშვებელია გადახაზვა, გადაფხევა, გადაშლა და ა.შ. ოქმის დაზიანების ან მასში არასწორი მონაცემების შეტანის შემთხვევაში ივსება ახალი ოქმი, ძველი გადაიხაზება ჯვარედინად, რომელსაც ოქმის შემვსები, მოხსენებითი ბარათით, გაუქმების მიზეზების მითითებით, აბარებს ოქმის გამცემს (აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირს).

4. ოქმის შედგენისას დამრღვევს უნდა განემარტოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლება-მოვალეობანი, რაც აღინიშნება ოქმში.

5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში აღინიშნება: ა) ოქმის შედგენის ადგილი და თარიღი; ბ) ოქმის შემდგენის თანამდებობა, სახელი და გვარი; გ) მონაცემები სამართალდამრღვევის შესახებ – სახელი, გვარი, მისამართი, პირადი ნომერი (იურიდიული პირის შემთხვევაში მისი დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი) და სხვა პირადი მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); დ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი, ნორმატიული აქტის დასახელება, რომელიც იქნა დარღვეული; ე) ნორმატიული აქტი (ნორმაზე მითითებით), რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის; ვ) მოწმეთა ან/და დაზარალებულთა სახელები, გვარები და მისამართები, თუ ასეთები არიან; ზ) სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება; თ) საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები.

6. ოქმს ხელს აწერენ მისი შემდგენი და სამართალდამრღვევი. თუ არიან მოწმეები და დაზარალებულები, ოქმს ხელი შეიძლება მოაწერონ ამ პირობამაც.

7. იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამრღვევი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე, ოქმის შემდგენის მიერ ოქმის შენიშვნის გრაფაში კეთდება სათანადო ჩანაწერი.

8. სამართალდამრღვევს უფლება აქვს წარმოადგინოს ოქმზე დასართავი ახსნა-განმარტებები და შენიშვნები ოქმის შინაარსის გამო, აგრეთვე ჩამოაყალიბოს ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები.

9. ოქმი, მისი შედგენიდან დაუყოვნებლივ, ეგზავნება იმ ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც უფლებამოსილია განიხილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე.

10. ოქმის შემდგენი და საქმის განმხილველი ორგანო ვალდებული არიან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 270-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან ან/და დადგენილების გამოტანიდან 10 დღის ვადაში აცნობონ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს (ერთიან საინფორმაციო ბანკს).

მუხლი 4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა რეგისტრაცია:

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის მონაცემები შევა „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილების რეგისტრაციის შურნალში (დანართი №4) (შემდგომში – რეგისტრაციის შურნალი) შესაბამისი გრაფების შევსებისა და საქმის რეგისტრაციის ნომრის დაფიქსირების გზით.

2. რეგისტრაციის შურნალი იწარმოება სამსახურში, ამისათვის სპეციალურად გამოყოფილი პასუხისმგებელი პირის მიერ.

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები ექვემდებარება აუცილებელ რეგისტრაციას რეგისტრაციის შურნალში მათი შედგენიდან (გამოტანიდან) სამი სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 5. რეგისტრაციის შურნალის შევსების წესი:

1. რეგისტრაციის ჟურნალის პირველ და მეორე გრაფაში შევა საქმის რიგითი ნომერი და რეგისტრაციის თარიღი.

2. მე-3-მე-10 გრაფებში მიეთითება მონაცემები სამართალდარღვევის ჩამდენი პირის შესახებ: ფიზიკური პირის შემთხვევაში – გვარი, სახელი, მისამართი, საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი; იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი, უფლებამოსილი წარმომადგენლის გვარი, სახელი, თანამდებობა, საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში – პასპორტის ნომერი და მოქალაქეობა.

3. მე-11-მე-14 გრაფებში მიეთითება მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის თაობაზე.

4. მე-15-21-ე გრაფებში მიეთითება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების თაობაზე.

5. 22-ე გრაფაში მიეთითება მონაცემები გადახდილი ჯარიმის თაობაზე.

6. 23-ე გრაფაში მიეთითება ინფორმაცია დანაშაულის ნიშნების არსებობის თაობაზე.

7. თუ ოქმი იგზავნება სასამართლოში განსახილველად, 24-ე გრაფაში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა, ხოლო მე-15-23-ე გრაფები არ ივსება.

მუხლი 6. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის ფორმების ჩამოწერა:

1. ოქმის ფორმების ჩამოწერა შეიძლება: ა) ოქმის შედგენის დროს დაშვებული შეცდომის გამო; ბ) ოქმის ფორმების ფიზიკური დაზიანების გამო;

2. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის ფორმების ჩამოწერა უნდა მოხდეს „გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების ჩამოწერის შესახებ აქტის (დანართი 5) (შემდგომში – ჩამოწერის აქტი) შედგენით, რომელშიც აუცილებლად უნდა მიეთითოს გამოსაყენებლად უვარგისი (ჩამოწერილი) ოქმის ფორმების ინდივიდუალური ნუმერაცია.

3. ჩამოწერილი ოქმის ფორმების უტილიზაცია ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ექსპერტიზა-უტილიზაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/344 ბრძანების შესაბამისად.

სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოებაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული და გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირი:

1. სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმის წარმოებას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია, როგორც სამშენებლო საქმიანობაზე საჯარო ზედამხედველობის ორგანო, ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მეშვეობით, რომელიც საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით“ დადგენილი წესის შესაბამისად, ადგენს სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისთვის გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებს (მითითება, შემოწმების აქტი, უწყება და დადგენილება).

2. სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის, შეფასებისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების დროს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური ხელმძღვანელობს საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ XIV და XV თავებით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოებისას საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შესწავლის საფუძველზე მომზადებული დოკუმენტაციის შესაბამისად, საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ დადგენილი წესით და ფარგლებში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N11(28.04.2022).**

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიაშვილმა**. მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 15 თებერვლის N277 განკარგულებით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 748000 ლარი, რომელიც ბიუჯეტში უნდა აისახოს, როგორც შემოსავლის, ასევე ხარჯვით ნაწილში. ა(ა)იპ ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციის ცენტრის დაფინანსება შემცირდეს (სუბსიდირების მუხლი, რომელიც მიზნობრივად გამოეყო მეწარმეების განვითარებისათვის) 100000 ლარით და მიიმართოს მუნიციპალიტეტში (ორგ.კოდი 02 11) მეწარმეობის განვითარების პროგრამის განხორციელებაზე. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობისა და მომსახურების“ ცენტრის მომსახურების არეალის გაზრდისა და შესაბამისი სპეცტექნიკის (6 ერთეული) ექსპლუატაციის ხარჯებიდან გამომდინარე მიმდინარე წლის დაფინანსება უნდა გაიზარდოს დამატებით 200000 ლარით, მათ შორის: შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე მიიმართება 90000 ლარი, ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯებზე 110000 ლარი. ამასთან, დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში ორგანიზაციის წინადადებით უნდა შემცირდეს ოფისის მუხლი 2000 ლარით, სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი 4000 ლარით. აღნიშნულის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 6000 ლარით. ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების სისტემის მუშაკთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების მიზნით დაფინანსება გაიზარდოს 78000 ლარით, მათ შორის 74445 ლარი მიიმართოს შრომის ანაზღაურების მუხლში, 3555 ლარი შტატგარეშე მუშაკთა ანაზღაურებაზე. ა(ა)იპ სპორტული ცენტრის მიმდინარე წლის 14 აპრილის 19 წერილის საფუძველზე შემცირდეს შრომის ანაზღაურების მუხლი 29000 ლარით, შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 25000 ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლი 4000 ლარით. განხილული იქნა შპს ფეხბურთის კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ს მიმდინარე წლის 7 მარტის N01-070322 წერილი 250000 ლარის გამოყოფის თაობაზე. განხილვის შედეგად მიზანშეწონილად ჩაითვალა 200000 ლარის გამოყოფა მიზნობრიობის განსაზღვრით. დამატებით 478000 ლარის ოდენობით აღებული ვალდებულებების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით გაიზარდოს არაფინანსური აქტივების (გაყიდვით) აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლის გეგმა 300000 ლარით, ხოლო 178000 ლარის დაფინანსება განხორციელდეს ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის ხარჯზე.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ 2008 წლიდან 2012 წლის ჩათვლით, საფეხბურთო კლუბ „გურიაზე“ დაიხარჯა 1200000 ლარი და რეგიონული ლიგიდან გუნდი გახდა უმაღლესი ლიგის წევრი, რაც მისი აზრით ბოლო წლების ყველაზე დიდი წარმატება იყო, ხოლო 2013 წლიდან 2021 წლის ჩათვლით 8175000 ლარია დახარჯული და უმაღლესი ლიგიდან გუნდი დაქვეითდა რეგიონულ ლიგაში. მისი თქმით, ბაზა, სტადიონი, საფეხბურთო სკოლა და ჩიბათის სკოლა უნდა გაერთიანდეს, ჩამოყალიბდეს ერთიანი სისტემა, რაც გამოიწვევს საფეხბურთო სფეროს გაძლიერებას და უნდა მოწესრიგდეს სატრანსფერო სიტუაციაც.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა, ვინ არის პასუხისმგებელი ამ ეტაპზე საფეხბურთო კლუბ „გურიას“ ფინანსების მართვაზე და ვინ არის გარანტი იმისა, რომ ეს თანხები მიზნობრივად იქნება დახარჯული.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ საფეხბურთო კლუბმა „გურიაში“ მომართა ხელფასების და აღებული ვალდებულებების

დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით. მან ასევე განმარტა, რომ კლუბის ვალდებულებები ჩამოსულია 250000 ლარზე.

ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გონა ჯანაშიამ** აღნიშნა, რომ არავის არ უნდა ხელი შეუშალოს საფეხბურთო კლუბ „გურიას“ წინსვლას, მაგრამ ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფა არ არის სასურველი მაშინ, როცა ა(ა)იპიების თანამშრომლებს მიზერული ხელფასები აქვთ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ თავადაც არ არის მომხრე საფეხბურთო კლუბი დაფინანსდეს ადგილობრივი ბიუჯეტიდან, მაგრამ ამ ეტაპზე საჭიროა და მისი სურვილია, რომ ეს იყოს უკანასკნელი პრეცედენტი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი. მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი. თავი შეიკავა ორმა წევრმა: ჯუმბერ ბლაგიძემ და მაკა მშვიდლობაძემ. მიღებულ იქნა დადგენილება N12(28.04.2022)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენოსანი ვაჟა თოდუას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ**. მან განმარტა, რომ სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლაში შემოვიდა ქალაქ ლანჩხუთის აგარაკის უბნის მაცხოვრებელთა ერთობლივი განცხადება. სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლისათვის - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი ეროვნული გმირის, ვაჟა თამაზის ძე თოდუას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით. სკოლაში ჩატარდა პედაგოგიური საბჭოს და სამეურვეო საბჭოს სხდომა, სადაც დაფიქსირდა სკოლის და მოსახლეობის პოზიცია. გადაწყდა, რომ სსიპ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლას მიენიჭოს ვაჟა თოდუას სახელი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი. მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი. მიღებულ იქნა განკარგულება N15(28.04.2022).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვადასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან განმარტა, რომ აღნიშნული დადგენილებიდან ხდება იმ მუხლების ამოღება, რომლებიც განსხვავებულად არეგულირებდა მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის ოდენობასა და გადახდის წესს. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N16(28.04.2022)**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან განმარტა, რომ წარმოდგენილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ მომზადებული პროექტი, რომელიც შეეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთის განსაზღვრის წესს: მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელი ახლად ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (K2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის განისაზღვროს:

ა) სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში:

ა.ა) სააგარაკე და ინდივიდუალური სახლებისათვის - 4 ლარი;

ა.ბ) მრავალბინიანი სახლები, კომერციული დანიშნულების ობიექტები (სასტუმრო, სავაჭრო და გასართობი) - 4 ლარი;

ა.გ) სამრეწველო ობიექტი - 5 ლარი;

ა.დ) სამკურნალო-გამაჯანსაღებელი, სარეაბილიტაციო პროფილის შენობა-ნაგებობებისათვის-2,5 ლარი;

ბ) ქალაქ ლანჩხუთის ტერიტორიაზე - 4 ლარი;

გ) სხვა დანარჩენ ტერიტორიაზე - 2.5 ლარი;

დ) ხაზობრივი ნაგებობების მშენებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობა 1(ერთი) გრძივ მეტრზე-1 (ერთ) ლარი;

ე) ისეთი შენობა-ნაგებობის (გარდა ხაზობრივი ნაგებობისა) მშენებლობის შემთხვევაში, რომელსაც არ აქვს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (K2) საანგარიშო ფართობი:

ე.ა) II კლასის ობიექტებისთვის - 50 ლარი;

ე.ბ) III კლასის ობიექტებისთვის - 200 ლარი;

ე.გ) IV კლასის ობიექტებისთვის - 400 ლარი.

მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის მიზანშეწონილად მიაჩნიათ მიმართონ საკრებულოს წინადადებით „საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო კოდექსის 94-ე მუხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გარდა სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მოქცეული ტერიტორიისა II

კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების ნაცვლად დაადგინოს მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**

მიღებულ იქნა განკარგულება N17(28.04.2022)

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში (გარდა სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მოქცეული ტერიტორიისა) II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი II კლასის დამხმარე ხასიათის შენობა-ნაგებობებისთვის და II კლასის ღობეების მშენებლობისათვის (რეკონსტრუქციისათვის) მშენებლობის დეტალური შეტყობინების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან განმარტა, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 94-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ან მის ნაწილში II კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის ამ მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლება აქვს, მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების ნაცვლად, დაადგინოს მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულება. მერიის მოსაზრებაა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, (გარდა სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მოქცეული ტერიტორიისა) II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი II კლასის დამხმარე ხასიათის შენობა-ნაგებობებისთვის და II კლასის ღობეების მშენებლობისათვის (რეკონსტრუქციისათვის) მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების ნაცვლად დაადგინდეს მშენებლობის დეტალური შეტყობინება, კანონით დადგენილი წესით. პროექტით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მე-2 კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობით დაინტერესებულ გარკვეულ კატეგორიას უმარტივდება სანებართვო პროცედურები, რაც ჩვენი აზრით დადებითად აისახება მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე და ხელს შეუწყობს საცხოვრებელი სახლების ქაოსურად მშენებლობის შემცირებას. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N18(28.04.2022)**

დღის წესრიგის მერვე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით,

უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე ისაუბრა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებია**მ. მან აღნიშნა, რომ მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს 21 მარტის #08-302208043 წერილით ეცნობა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს 2022 წლის 14 თებერვლის N1/1-705 ბრძანების თანახმად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში შემდეგი ქონებების გადმოცემის შესახებ:

- 1) ნაგავმზიდი - (4X4) IVECO EUROCARGO ML 110E22W სახელმწიფო № EE-903-TT;
- 2) ნაგავმზიდი - (4X4) IVECO EUROCARGO ML 110E22W სახელმწიფო № EE-902-TT;
- 3) ნაგავმზიდი - (4X2) IVECO EUROCARGO ML 110EL22 სახელმწიფო № LL-543-FF;
- 4) ნაგავმზიდი ავტომობილი - BMC TGR 2532 WBL სახელმწიფო № YY-749-IY;
- 5) თვითმცლელი - Ford Trucks 1833D DC (4X2) სახელმწიფო № FQ-276-QF;
- 6) თვითმცლელი - (4X4) IVECO EUROCARGO ML 150E25W სახელმწიფო № EE-852- TT;
- 7) 1100 ლიტრიანი პლასტმასის ნარჩენების განთავსების კონტეინერი - 500 ცალი.

აღნიშნული ქონებები საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ აყვანილია მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ შემოაღნიშნული ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს“ (ს/ნ 433649322), მისი წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების უკეთ განხორციელების მიზნით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**

მიღებულ იქნა განკარგულება N19(28.04.2022)

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე ისაუბრა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებია**მ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, ამორტიზებული ორთქლის ქვაბი ჯართის სახით, სავარაუდო წონა 2500 კგ. (საწყისი საპრივატიზებო საფასური - 1 კგ-ს სავარაუდო ღირებულება 0,75 ლარი) და ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, (136კვმ), შემდგომი განკარგვის მიზნით, აისახოს მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და გეგმაში.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.

მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N20(28.04.2022)

დღის წესრიგის მეთექვსმეტე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ (ს/ნ 233731478) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებია**მ. მან აღნიშნა, რომ მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის 31 მარტის N08- 302209033 წერილით გვეცნობა სამი ერთეული (მოძრავი) საახალწლო დეკორატიული ჯიხურის გადმოცემის შესახებ. საერთო საბალანსო ღირებულება შეადგენს 14100 ლარს. აღნიშნული ქონებები საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ აყვანილია მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, გადაეცეს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას“ (ს/ნ 233731478) მისი არსებობის ვადით. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N21(28.04.2022)

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2022 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ**. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2022 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა:

1. ლესა-20000 ლარი: ამბულატორიის ოთახის და გარე განათების მოწყობა.
2. ჭინათი-12000 ლარი: წყლის მილის შექმნა, ბეტონის გზის მოწყობა, სანიაღვრე არხის მოწყობა და ამბულატორიის ოთახის მოწყობა.
3. ორმეთი-12000 ლარი: სკვერის შემოღობვა.
4. ომფარეთი-16000 ლარი: ფეხბურთის მოედნის შემოღობვა და გარე განათების მოწყობა.
5. ღრმაღელე 16000 ლარი: საბავშვო ბაღის ეზოს და ფეხბურთის მოედნის შემოღობვა.
6. წყალწმინდა-20000 ლარი: გარე განათების მოწყობა.
7. ზემო შუხუთი-12000 ლარი: კალათბურთის სტადიონის და გარე განათების მოწყობა.
8. ქვემო შუხუთი-20000 ლარი: ეკლესიის მიმდებარე სკვერის და წმ. ნიკოლოზის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა.

9. ჯუნმერე-10000 ლარი: სკვერის კეთილმოწყობა ჯაყელის უბანში.
10. მანხვარეთი-16000 ლარი: სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა სამების ქუჩაზე და სკოლამდელ დაწესებულებაში ინვენტარის შეძენა.
11. ორაგვე-10000 ლარი: გზის მოხრეშვითი სამუშაოები ჩხარტიშვილების უბანში და სკვერის კეთილმოწყობა ორაგვის სასაფლაოს წინ.
12. ჯუნეწერი-12000 ლარი: სასაფლაოს შემოღობვა და კეთილმოწყობა, ბავშვებისთვის განკუთვნილი სკვერის მოწყობა.
13. გვიმბალაური-16000 ლარი: სასაფლაოს შემოღობვა და კეთილმოწყობა.
14. ჭალა-12000 ლარი: გარე განათების მოწყობა.
15. ზემო ჩიბათი-12000 ლარი: სასაფლაოსთან მისასვლელი რკ/ბეტონის გზის წერტილოვანი შეკეთება, სკვერის მოსაწყობად მავთულებადის შეძენა, სოფლის საძოვართან მისასვლელი გზის მოხრეშვა და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალის რესტავრაცია.
16. ქვემო ჩიბათი-16000 ლარი: სულაბერიძეების უბანში მოსაცდელის მოწყობა(აშენება) და ჩახვადების უბანში სანიაღვრე არხების ამოწმება.
17. გულიანი-12000 ლარი: გარე განათების გაგრძელება და ცხაურის და ხიდის მოწყობა.
18. ჩოჩხათი-16000: უბნებში ცხაურების და გარე განათების მოწყობა.
19. კოკათი-10000 ლარი: გზაზე ბეტონის საფარის და გარე განათების მოწყობა.
20. ხორეთი-12000 ლარი: სასაფლაოსთან ხიდის რეაბილიტაცია და ეკლესიასთან სანიაღვრე არხის გაგრძელება.
21. მოედანი-12000 ლარი: სოფლის შიდა გზების მოწესრიგება და ეკლესიის უბანში წყლის სისტემის გაკეთება.
22. შრომისუბანი-12000 ლარი: გარე განათების დასრულება.
23. ჯიხანჯირი-12000 ლარი: გარე განათების დასრულება.
24. ყელა-12000 ლარი: დაწყებული გარე განათების დასრულება.
25. ნინოშვილი-12000 ლარი: დაწყებული გარე განათების დასრულება და პირველ ბრიგადაში, ღლონტების უბანში ღია სანიაღვრე არხის მოწყობა 150მ.
26. ბაღლეფი-12000 ლარი: გარე განათების მოწყობა.
27. ეწერი-12000 ლარი: სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე გზის შეკეთება და გარე განათების მოწყობა.
28. ჯურუყვეთი-16000 ლარი: საქორიას უბანში გარე განათების მოწყობა.
29. აცანა-16000 ლარი: გარე განათება(ჭალა-ეწერი), გარე განათება ცენტრი(ქანთარიები) და ამბულატორიის შენობაში სველი წერტილის რეაბილიტაცია.
30. ტელმანი-12000 ლარი: გარე განათების მოწყობა მუჭუტას უბანში და ჩაგმედი ჩხაიძის მიმდებარედ.
31. გაგური-10000 ლარი: გარე განათების მოწყობა.
32. ჭანჭათი-16000 ლარი: გარე განათების მოწყობა.
33. ზემო აკეთი-12000 ლარი: გარე განათების მოწყობა უბნების მიხედვით, სასაფლაოს ღობის შეღობვა-რეაბილიტაცია და წყლის სათავე-ნაგებობის აღდგენა.
34. ქვემო აკეთი-16000 ლარი: გარე განათების მოწყობა და სასაფლაოს ღობის შეღობვა-რეაბილიტაცია.
35. მამათი-12000 ლარი: სასაფლაოს შეღობვა და წყაროს წყლის კეთილმოწყობა.
36. ქვემო მამათი-10000 ლარი: სასაფლაოს შემოღობვა.

37. კონკრეტი-12000 ლარი: სასაფლაოს შემოღობვა და გარე განათების მოწყობა.
38. შათირი-10000 ლარი: გარე განათების მოწყობა, ავზის შექმნა, სანიაღვრე არხის გაწმენდა და გზის გასწორება.
39. ახალსოფელი-16000 ლარი: სასაფლაოსთან მისასვლელი რკ/ბეტონის გზის მოწყობა და სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია.
40. ტაბანათი-16000 ლარი: სასაფლაოს შეღობვა, სანიაღვრე არხის გაწმენდა და მილხიდის მოწყობა.
41. ჩქუნი-10000 ლარი: სანიაღვრე არხის გაწმენდა და წყლის სისტემის მოწყობა.
42. სუფსა-12000 ლარი: პარკის რეაბილიტაცია, ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა და გაწმენდა.
43. ხიდმაღალა-16000 ლარი: სანიაღვრე არხების გაწმენდა და წყლის სისტემის მოწესრიგება.
44. გრიგოლეთი-12000 ლარი: ღია სანიაღვრე არხის გაწმენდა და შიდა გზების მოხრეშვა.
45. მალთაყვა-10000 ლარი: ღია სანიაღვრე არხის გაწმენდა და შიდა გზების მოხრეშვა.
46. ნიკოთი-16000 ლარი: გარე განათების მოწყობა როლანდი გოგუაძის და ვალოდია გოგუაძის უბნებში, სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე რკ/ბეტონის დასნმის გაგრძელება, ცხაურის ჩადება ალდა ლომაძის უბანში, არსებული სანიაღვრე არხის გაწმენდა გიორგი ჩხაიძის უბანში.
47. ჩოლობარგი-16000 ლარი: სკვერის მოწყობა ნაძვანარის უბანში და სოფლის ცენტრში რკ/ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა.
48. ჭყონაგორა-16000 ლარი: ჯიხეთის გადასახვევთან არსებული სკვერის რეაბილიტაცია.
49. ჯაპანა-12000 ლარი: გარე განათების მოწყობა ჯემალ ჯიბლაძის და რობერტ მეფარიშვილის უბნებში, წმ. გიორგის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია.
50. ქვიანი-16000 ლარი: ფიჩორის უბნის სასაფლაოს გზაზე რკ/ბეტონის გზის გაგრძელება, მიხეილ მანთიძის უბანში რკ/ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა, ცხაურის მოწყობა და გზის მოწესრიგება.
51. ჯიხეთის მონასტერი-10000 ლარი: ჯიხეთის დედათა მონასტრის ტერიტორიაზე სარეკრეაციო სივრცის რეაბილიტაცია.
52. ნიკვზიანი-20000 ლარი: მილხიდის მოწყობა ირაკლი მოისწრაფიშვილის სახლისკენ მიმავალ გზაზე, გარე განათების მოწყობა და წყლის რეზერვუარის შექმნა.
53. ხაჯალია-20000 ლარი: ზოიძეების უბანში ღია არხის მოწყობა, გზის აღდგენა ქვიშა-ხრემოვანი ხარევით, ბუკულოვების უბანში გარე განათების მოწყობა.
54. არჩეული-12000 ლარი: სასაფლაოს გზის აღდგენა, გარე განათების მოწყობა, მერაბი ტულუშის კარ-მიდამოსთან გზის წერტილოვანი შეკეთება ქვიშა-ხრემოვანი ხარევით.
55. ჩანჩეთი-10000 ლარი: მარტივი ტიპის ორი სტადიონის მოწყობა და ბეტონის არხის მოწყობა.

დასაფინანსებელი პროექტების საერთო ღირებულება - 748000 ლარი.

საკრებულოს წევრი **ელისო ჭიჭინაძე** დაინტერესდა:

1. შესაძლებელია თუ არა ადგილობრივმა მეწარმემ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელ პროექტებზე სამუშაოები აწარმოოს პირდაპირი შესყიდვის წესით.

2. შესაძლებელია თუ არა სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე გამოყოფილი თანხის ოდენობის გაზრდა.

3. იმ შემთხვევაში, როცა სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე გამოყოფილი თანხის ოდენობა არ იქნება საკმარისი ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საექიმო უბნის მოსაწყობად, თუ შეძლებს მუნიციპალიტეტი დახმარებას.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ ადგილობრივი ხელისუფლება ითანამშრომლებს შესაბამის სამინისტროსთან სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე გამოყოფილი თანხის ოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა, ვის დაქვემდებარებაშია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული საექიმო უბნები და რატომ უნდა დაიხარჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები საექიმო უბნების რეაბილიტაციაზე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელ პროექტებზე ტენდერი ჩატარდება გამარტივებული წესით, იურიდიული პროცედურების დაცვით, ხოლო ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საექიმო უბნის მოსაწყობად მუნიციპალიტეტი დახმარებას შეძლებს 10000-15000 ლარის ოდენობით თანხით.

მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული საექიმო უბნები დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაშია, მაგრამ სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე გამოყოფილი თანხის ოდენობა განსაზღვრულია ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების რაოდენობით და მისი გამოყენების მიზნობრიობას ირჩევს სოფლის მოსახლეობა.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი. მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N22(28.04.2022)

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ**. მან განმარტა, რომ განკარგულების პროექტში შესატანი ცვლილებები განპირობებულია „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებების თანახმად, რათა შესაბამისობაში მოყვანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი, ამიტომ აღნიშნულიდან გამომდინარე გარკვეული ცვლილებები შედის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულებაში, კერძოდ კომისიის უფლებამოსილებაში.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი. მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N23(28.04.2022)

დღის წესრიგის მეცამეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ**. მან განმარტა, რომ ცვლილებები განპირობებულია „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ძირითადად შესაბამისობაში მოყვანილ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი, კერძოდ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად, 57-ე მუხლის მე-6 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე- მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სხდომას თავმჯდომარეობს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში- მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის უხუცესი მოადგილე“, ასევე დადგენილების მიღება არ მოახდენს გავლენას ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი. მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N24(28.04.2022)

დღის წესრიგის მეთოთხმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ღონისძიებათა 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ **ლოლიტა ურუშაძემ**. მან აღნიშნა, რომ რომ 2021 წ. ივნისში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა და ევროპის რეგიონთა და მუნიციპალიტეტთა საბჭომ მოაწერა ხელი ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის ქარტიას. ამით მუნიციპალიტეტს დაეკისრა ვალდებულება შეიმუშაოს და გონივრულ ვადებში განახორციელოს აღნიშნულ ქარტიაში გათვალისწინებული სამუშაოები:

- ა) შეადგინოს გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა;
- ბ) ითანამშრომლოს საკუთარ ტერიტორიაზე არსებულ ყველა ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან;
- გ) უზრუნველყოს ქალთა და კაცთა ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრა;
- დ) ქალთა და კაცთა თანასწორობის გასაუმჯობესებლად ადგილობრივი ხელისუფლების ყველა საქმიანობაში გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება(გაერთიანება) და ა.შ.

ახალი გეგმის ფორმატი სრულიად შეესაბამება თანამედროვე საჯარო მმართველობის სტანდარტებს. გეგმაში წარმოდგენილია ამოცანები და მათი მიღწევის გასაზომი ობიექტური ინდიკატორები.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია:

1. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში-მერის წარმომადგენლობებში გამოიყოს გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირები, მათთვის შემუშავდეს სამუშაო აღწერილობა და მოხდეს სამართლებრივი უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს რეალური თანასწორობის მიღწევას პრაქტიკაში.

2. მოწყვლადი და სოციალურად მგრძობიარე ჯგუფების საჭიროებათა შესასწავლად და

სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზის შესაქმნელად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურიდან პერიოდულად საჭიროა ინფორმაციის მიღება: ვინ არიან მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი სოციალური თუ ჯანდაცვის პაკეტებით (დახმარების, სუბსიდების, შეღავათების, მედიკამენტების, დაფინანსების, კვლევების და ა.შ.) მოსარგებლე პირები და ეკონომიკური პროგრამების სამიზნე ჯგუფები.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ **ლოლიტა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გენდერული თანასწორობის საბჭოსთვის 2022-2023 წლებში ღონისძიებათა განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს 5000 ლარი, რომელიც არ არის საკმარისი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ რადგან 2021-2022 წლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გენდერული თანასწორობის საბჭოსთვის ღონისძიებათა განსახორციელებლად გამოყოფილი 5000 ლარის სრულად ათვისება ვერ მოხდა, ამიტომ მიმდინარე წელსაც გამოიყო იგივე რაოდენობის თანხა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, მიზნობრიობის დასაბუთებით შესაძლებელი იქნება თანხის დამატება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი. მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N25(28.04.2022)

დღის წესრიგის მეთხუთმეტე საკითხი: „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისაგან (GIZ) გრანტის მიღებაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშნიამ**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მეწარმეობის განვითარების პროგრამის დაფინანსებისათვის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია 100 000 ლარი, ხოლო დამატებით 100 000 ლარის მიღება გრანტის სახით დაგეგმილია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისაგან (GIZ). მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს გრანტის მისაღებად ესაჭიროება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობა, რის შემდეგაც ნებართვისათვის მიმართავენ საქართველოს მთავრობას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი. მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N26(28.04.2022)

დღის წესრიგის მეთექვსმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის (პროგრამული კოდით 02 11) პროგრამის განხორციელების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშნიამ**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მეწარმეობის განვითარების პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) განხორციელების წესი წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში არსებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მეწარმეობის განვითარების საბიუჯეტო პროგრამის განხორციელების ძირითად საფუძველს და მარეგულირებელ აქტს. პროგრამის მიზნებს წარმოადგენს:

- ა) სოფლის მეურნეობის (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის) მხარდაჭერა;
- ბ) აგროტურისტული პოტენციალის განვითარება;
- გ) ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერების ხელშეწყობა, მათ შორის სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა;
- დ) დასაქმების ხელშეწყობა.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი. მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N27(28.04.2022)

დღის წესრიგის მენჯიდმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ ისაუბრა მუნიციპალიტეტის მერიის პირველმა მოადგილემ **ეკატერინე გუჯაბიძემ**. მან განმარტა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილია კორექტირებული დადგენილების პროექტი:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები:

პოლიტიკური თანამდებობის პირები-3:

1. მერი 5060ლ;
2. მერიის პირველი მოადგილე 3850ლ;
3. მერიის მოადგილე 3520ლ.

პროფესიული საჯარო მოხელეები:

პირველადი სტრუქტურული ერთეული - ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური-18:

პირველი რანგი-1:

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამსახურის უფროსი 1- 2200ლ
სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება-3:

მეორე რანგი-1:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი-1- 1760ლ;
მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1210ლ

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1 -1100ლ.

მეორადი სტრუქტურული ერთეული-ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება-3:

მეორე რანგი-1:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი1 -1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1- 1210ლ;

მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი 1-1000ლ;

ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან ურთიერთობის და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილება-3:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი1- 1760ლ;
მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1- 1210ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1- 1100ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - საქმის წარმოებისა და არქივის განყოფილება-5:

მეორე რანგი-1:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი1- 1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1- 1210ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1- 1100ლ;

მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი 2-1000ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება-3:

მეორე რანგი-1:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი1- 1760ლ;
მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1- 1210ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1- 1100ლ;

პირველადი სტრუქტურული ერთეული-ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური-12:

პირველი რანგი-1:

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -სამსახურის უფროსი 1- 2200ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - სივრცითი მოწყობის განყოფილება-3:

მეორე რანგი-1:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი 1-1760ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1100ლ;

მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი 1-1000ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - ინფრასტრუქტურის განყოფილება-6:

მეორე რანგი-1:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი1-1760ლ;
მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1210ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 3-1100ლ;

მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი 1-1000ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული-ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების

განყოფილება-2:

მეორე რანგი-1:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი 1-1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1210ლ;

პირველადი სტრუქტურული ერთეული - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური-14:

პირველი რანგი-1:

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამსახურის უფროსი 1-2200ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული -საბიუჯეტო განყოფილება-3:

მეორე რანგი-1:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი 1-1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1210ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1100ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილება-3:

მეორე რანგი-1:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი 1-1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1210ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1100ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული-სახაზინო და მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის განყოფილება-3:

მეორე რანგი-1:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი 1-1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1210ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1100ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული -შესყიდვების განყოფილება-4:

მეორე რანგი-1:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი 1-1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1210ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 2-1100ლ;

პირველადი სტრუქტურული ერთეული - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური-8:

პირველი რანგი-1:

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -სამსახურის უფროსი 1- 2200ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული-ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილება-4:

მეორე რანგი-1:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი 1-1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1210ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 2-1100ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული-ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება-3:

მეორე რანგი-1:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი 1-1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1210ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 3-1100ლ;

მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი 1-1000ლ;

პირველადი სტრუქტურული ერთეული - განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური-8:

პირველი რანგი-1:

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამსახურის უფროსი 1-2200ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული-სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება-3:

მეორე რანგი-1:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი 1-1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1210ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1100ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განყოფილება-4:

მეორე რანგი-1:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი 1-1760ლ;
მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 2-1210ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1100ლ;

პირველადი სტრუქტურული ერთეული - ზედამხედველობის სამსახური-6:

პირველი რანგი-1:

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამსახურის უფროსი 1-2200ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული-მუნიციპალური ინსპექტირების განყოფილება-5:

მეორე რანგი-1:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი 1-1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1210ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 3-1100ლ;

პირველადი სტრუქტურული ერთეული - შიდა აუდიტის სამსახური-5:

პირველი რანგი-1:

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამსახურის უფროსი 1-2200ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული-შიდა აუდიტის განყოფილება-2:

მეორე რანგი-1:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი 1-1760ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1100ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - რეკომენდაციების, მონიტორინგისა და დისციპლინური წარმოების განყოფილება-2:

მეორე რანგი-1:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი 1-1760ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1100ლ;

პირველადი სტრუქტურული ერთეული - ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური-7:

პირველი რანგი-1:

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამსახურის უფროსი 1-2200ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული-ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილება-6:

მეორე რანგი-1:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი 1-1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 2-1210ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 2-1100ლ;

მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი 1-1000ლ;

პირველადი სტრუქტურული ერთეული - სამხედრო სამსახური-7:

პირველი რანგი-1:

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამსახურის უფროსი 1- 2200ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 2-1210ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1100ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - წვევამდელთა პირველადი სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის განყოფილება-3:

მეორე რანგი-1:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი 1-1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1210ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1100ლ;

მერის წარმომადგენელი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში 16-1500ლ;

ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული სპეციალისტი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში 27-750ლ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა სრული რაოდენობა საშტატო ნუსხაში -134.

მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ **ეკატერინე გუჯაბიძემ** აღნიშნა, რომ ეს არ არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის საბოლოო სახე და შესაძლებელია შემდგომში მასში შევიდეს ცვლილებები. მისი თქმით სტრუქტურის მოწესრიგების შემდეგ ყველა სამსახური იქნება თანაბარ პირობებში.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილის **გიორგი გოგუაძის** თქმით ა(ა)იპიებში ხელფასები არასწორადაა განაწილებული. ის დაინტერესდა, ვინ არის ჩართული ა(ა)იპიებში მიმდინარე რეორგანიზაციის საკითხებში.

მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ **ეკატერინე გუჯაბიძემ** აღნიშნა, რომ იმ ა(ა)იპიებში, სადაც დასრულებულია რეორგანიზაცია სარგოს ოდენობებიც მოგვარებულია.

საკრებულოს წევრი **ჯუმბერ ბლაგიძე** დაინტერესდა, საბოლოოდ როდის იქნება დასრულებული რეორგანიზაცია.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ რეორგანიზაცია არის სამ თვიანი პროცესი, მაგრამ ამ ეტაპით არ დამთავრდება, სექტემბრამდე კიდევ უნდა გატარდეს ცვლილება, კერძოდ, მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური უნდა გავიდეს ცალკე ა(ა)იპად, რაზეც მიმდინარეობს სამუშაოები.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი. მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი. თავი შეიკავა ერთმა საკრებულოს წევრმა ჯუმბერ ბლაგიძემ.

მიღებულ იქნა დადგენილება N13(28.04.2022)

დღის წესრიგის მეთვრამეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ ისაუბრა მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა**. მან განმარტა, რომ საფინანსო სამსახურის ორგანიზებით განხორციელდა მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის ფორმირება და დადგენილ ვადაში წარედგინა მუნიციპალიტეტის საკრებულოს განსახილველად. დამტკიცების შემდეგ შემოსავლები და გადასახდელები აისახა ელექტრონულ სისტემაში კვარტალურ ჭრილში საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და ღონისძიებების მიხედვით. საქართველოს მთავრობის განკარგულებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხების, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი წინადადებების განხილვის შედეგად დასაფინანსებელი ღონისძიებების ბიუჯეტში ასახვის მიზნით მომზადებული იქნა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ცვლილების 8 პროექტი, შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 13652637 ლარით, მათ შორის საკუთარი შემოსავლების ხარჯზე 1771659 ლარით, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებით 9463343 ლარით, ნაშთის ხარჯზე 2417634 ლარით /ძირითადად ინფრასტრუქტურული პროექტების/, სულ მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტი განისაზღვრა 26177037 ლარით. პერიოდულად მერის ბრძანების შესაბამისად ხდებოდა სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფა და მისი ასახვა ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი ღონისძიებების კოდზე. სამსახურის ჩართულობით შეირჩა სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტები და დაფინანსება განხორციელდება 2021 წლის ბიუჯეტით. სამსახურის ჩართულობით 2021 წლის მარტის თვიდან დაიწყო და შემუშავდა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი. სამსახურის მიერ დროულად ხდებოდა საგადასახადო ვალდებულებების და მოთხოვნების რეგისტრაცია. სამსახური შესყიდვების განყოფილების მიერ მოწოდებული ხელშეკრულებებს არეგისტრირებს და ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში დარეგისტრირებული ხელშეკრულებების შესაბამისად ხორციელდებოდა შესაბამისი ვალდებულებების აღება, პირველადი დოკუმენტების სისტემაში ატვირთვა, ინვოისების მომზადება და ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოთხოვნების მომზადება ხაზინის

ელექტრონული მომსახურების სისტემაში, სულ განხორციელდა 22022686 ლარის ღირებულების ტრანზაქცია. სამსახურის მიერ დროულად ხდებოდა თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების გასაცემების დარიცხვა, ჩარიცხვა პირად ანგარიშზე. საგადასახადო დეკლარაციების შედგენა და შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ სისტემაში მისი დადგენილ ვადაში გადაგზავნა. სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ-იდან მიიღო 96 ერთეული თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, შ.პ.ს.-დან 24 ერთეული თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის წლიური პარამეტრები: შემოსულობები მიღებულია 23103250 ლარი, პროგნოზით გათვალისწინებულზე 854948 ლარით მეტი, გეგმა შესრულდა 103,8 %-ით, მათ შორის: გადასახადები შესრულებულია 106,2 %-ით, ნაცვლად პროგნოზით გათვალისწინებული 9211100 ლარისა, შემოსულია 9778504 ლარი. სხვა შემოსავლები შესრულებულია 110,9 %-ით, პროგნოზით გათვალისწინებულ 3035740 ლარისა, შემოსულია 3365295 ლარი. არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავლები შესრულებულია 150,8%-ით, ნაცვლად პროგნოზით გათვალისწინებულ 318119 ლარისა, შემოსულია 479659 ლარი. გრანტები მიღებულია 9479792 ლარი, ნაცვლად 9683343 ლარისა, პროგნოზით გათვალისწინებულის 97,9%-ი. აქედან, გრანტი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან 50000 ლარი (წლიური გეგმის 100%- ი), მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 616461 ლარი (წლიური გეგმის 83,5%), საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 5615068 ლარი (წლიური გეგმის 100,2 %-ი). სოფლის მხარდაჭერის პროგრამების დასაფინანსებლად 748000 ლარი (წლიური გეგმის 100%-ი), სპეციალური ტრანსფერი - სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაფინანსებლად 2426643 ლარი (წლიური გეგმის 98,1%-ი). საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაფინანსებლად 60000 ლარი (წლიური გეგმის 85,7%). მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2021 წელს (კაპიტალურის ჩათვლით) მიღებულია 13623458 ლარი, წლიური შემოსავლების პროგნოზით გათვალისწინებულზე 1058499 ლარით მეტი, გეგმა შესრულებულია 108,4%-ით. მათ შორის: დამატებით ღირებულების გადასახადი 8471514 ლარი, წლიური პროგნოზის 103,2%, რაც მთელი შემოსავლების 62,18% -ს შეადგენს. საწარმოთა ქონების გადასახადი შემოსულია 392665 ლარი, წლიური პროგნოზის 130,9%. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან შემოსავალი მიღებულია 222729 ლარი, პროგნოზით გათვალისწინებულზე 132729 ლარით მეტი. არასასოფლო სამეურნეო მიწის გადასახადიდან შემოსავალი 649962 ლარს შეადგენს (108,3%). ჯარიმების, სანქციებისა და საურავების სახით ბიუჯეტში მიღებულია შემოსავალი 3080680 ლარი (107,6%). მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შემოსულია 83452 ლარი(100,5 %). შემოსავალი მიწის (იჯარიდან და მართვაში უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებულია 25538 ლარი (150,2%). 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთიდან ხარჯების დასაფინანსებლად მიიმართა 1511100 ლარი, მათ შორის; - დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯების დაფინანსებაზე 1511100 ლარი. პრიორიტეტების მიხედვით მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის გამოყოფილი ასიგნების ათვისება შემდეგია; - ინფრასტრუქტურის განვითარებაზე გეგმური 13681448 ლარის ნაცვლად მიიმართა 10539916 ლარი, (77,04 %-ი). - განათლების ღონისძიებებზე გაიხარჯა 3172434 ლარი, ნაცვლად 3634640 ლარისა. (87,3 %-ი). - კულტურის სფეროს განვითარებაზე მიიმართა 2625523 ლარი, ნაცვლად 2812184 ლარისა, (93,3 %-ი). - საზოგადოებრივ ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებზე მიმართულია 164864 ლარი, ნაცვლად 174500 ლარისა (94,4 %-ი). - სოციალური ღონისძიებების დაცვაზე მიიმართა 703439 ლარი, ნაცვლად 739342 ლარისა, (95,1%) - მმართველობითი ღონისძიებების დაფინანსებაზე მიიმართა 3293389 ლარი, ნაცვლად 3597722 ლარისა (91,5 %-ი). 2021 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკასო ხარჯმა 22022686 ლარი შეადგინა, პროგნოზით გათვალისწინებული ხარჯების 84,1%. საბიუჯეტო დაწესებულებებში შტატით დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 5127298 ლარი, გაწეული საკასო ხარჯების (კაპიტალურის გარეშე) 40,2%. შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე 2205639 ლარი (ხარჯების 17,3%). ოფისის ხარჯებზე მიიმართა 986626 ლარი (7,7%), წარმომადგენლობით ხარჯებზე 13268 ლარი. კვების ხარჯების დაფინანსებამ 150816 ლარი შეადგინა, ხარჯების 1,2%. შეძენილ იქნა 51626 ლარის რბილი ინვენტარი. ტრანსპორტის ექსპლუატაციის ხარჯმა 1308635 ლარი შეადგინა, რაც საკასო ხარჯების 10,2 % შეადგენს. სხვა საქონელი და მომსახურების მუხლით გაიხარჯა 697226 ლარი (5,5%). მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით აღებული (ნაგავმზიდების შეძენის) სესხის ძირითადი ვალდებულება დაიფარა 58 008 ლარით, ხოლო მომსახურების პროცენტი 29998 ლარით. სულ ამ მიმართულებით გაიხარჯა 88006 ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს-ების დაფინანსებაზე მიმართულია 339000 ლარი. სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე მიიმართა 703439 ლარი (ხარჯების 3,19 %). სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 865794 ლარი, აქედან 668571 ლარი მიმართულია საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლუატაციარეაბილიტაციაზე. ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე მიმართულია 9704708 ლარი, ბიუჯეტით გაწეული საკასო ხარჯების 44,1 %. აქედან, გზების

კაპიტალურ შეკვეთებზე მიიძღვრება 7233766 ლარი, წყლის სისტემების რეაბილიტაციაზე 86973 ლარი, გარე განათების ქსელის მოწყობაზე 524159 ლარი, საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვაზე გაიხარჯა 432913 ლარი, ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაციაზე 243850 ლარი, განათლების ობიექტების რეაბილიტაციაზე 105623 ლარი, სპორტული ობიექტების რეაბილიტაციაზე 32698 ლარი, კულტურის ობიექტებზე მიიძღვრება 5556 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამების დაფინანსებაზე მიიძღვრება 733997 ლარი. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციებისათვის გაიხარჯა 776862 ლარი, გეგმის 88,97%, მ.შ. შტატით დასაქმებულ პერსონალზე 499092 ლარი, საქონელი და მომსახურებაზე 197872 ლარი, აქედან შტატგარეშე მუშაკების შრომის ანაზღაურებაზე 58824 ლარი. მუნიციპალიტეტის მერიის ფუნქციონირებაზე გაიხარჯა 2071371 ლარი, გეგმის 91,79%-ი, მათ შორის შტატით დასაქმებულ პერსონალზე გაიხარჯა 1432669 ლარი, საქონელი და მომსახურებაზე მიიძღვრება 615721 ლარი, აქედან შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე 149225 ლარი. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ფუნქციონირებაზე გაიხარჯა 135625 ლარი, გეგმის 94,64%-ი, შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე 113251 ლარი, საქონელი და მომსახურებაზე 22374 ლარი. ა(ა)იპ ეკონომიკური განვითარების და ინოვაციის ცენტრი დაფინანსდა 177823 ლარით გეგმის 99,06%-ი, მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე 1256810 ლარი, სხვა საქონელი და მომსახურებაზე 52142 ლარი, აქედან შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე 36760 ლარი. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის“ დაფინანსებაზე მიიძღვრება 1965937 ლარი გეგმის 99,1%-ი, მათ შორის შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე 351635 ლარი. საქონელი და მომსახურების ხარჯმა 1608743 ლარი შეადგინა, აქედან შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე 902385 ლარი. ღონისძიების მიხედვით დაფინანსდა: წყლის სისტემის (სოფლები) ექსპლუატაციის ხარჯებზე მიიძღვრება 86973 ლარი, გარე განათების ქსელის ექსპლუატაციაზე 182159 ლარი. სასაფლაოების მოვლა პატრონობაზე გაიხარჯა 112106 ლარი. მუნიციპალური ტრანსპორტის ფუნქციონირების ხელშეწყობაზე 20040 ლარი, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობაზე 157291 ლარი, დასუფთავება და ნარჩენების გატანაზე მიიძღვრება 1345341 ლარი, უპატრონო ცხოველების დაცვით ღონისძიებაზე 19980 ლარი. ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის ფუნქციონირებაზე მიიძღვრება 2586138 ლარი, გეგმის 95,64%-ი, მათ შორის შტატით მომუშავეთა ანაზღაურებაზე 1727457 ლარი, საქონელი და მომსახურებაზე 746718 ლარი, აქედან შტატგარეშე მუშაკების შრომის ანაზღაურებაზე 166072 ლარი, კვების ხარჯები დაფინანსდა 150816 ლარით. 11964 ლარი მიიძღვრება არაფინანსური აქტივების შეძენაზე. საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯმა 453882 ლარი შეადგინა. ა(ა)იპ სპორტული ცენტრის ფუნქციონირებაზე გაიხარჯა 557727 ლარი გეგმის 96,74%-ი. მათ შორის შტატით დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება 100198 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯი 340659 ლარია, აქედან შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე მიიძღვრება 277647 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიიძღვრება 84870 ლარი. ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის დაფინანსებაზე მიიძღვრება 296665 ლარი გეგმის 99,99%-ი. მათ შორის შტატით დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურება 39600 ლარია, საქონელი და მომსახურებაზე გაიხარჯა 249523 ლარი, აქედან 214116 ლარი გაიხარჯა შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე, არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიიძღვრება 2700 ლარი. ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დაფინანსებაზე მიიძღვრება 873186 ლარი, გეგმის 97,67%-ი, მათ შორის შტატით დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურებამ 349987 ლარი შეადგინა, საქონელი და მომსახურებაზე გაიხარჯა 476661 ლარი, აქედან შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე 345853 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიიძღვრება 35648 ლარი. ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების დაფინანსებაზე მიიძღვრება 328150 ლარი, გეგმის 99,98%-ი, მათ შორის შტატით დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე 287973 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯი 35183 ლარია, აქედან შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურება 27300 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიიძღვრება 4994 ლარი. ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსებამ 162799 ლარი შეადგინა გეგმის 95,54%-ი, მათ შორის შტატით დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურებამ 99757 ლარი შეადგინა, საქონელი და მომსახურების ხარჯი 61942 ლარია, აქედან შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე გაიხარჯა 27456 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიიძღვრება 1100 ლარი. შ.პ.ს. „ლანჩხუთი“-ს /მუნიციპალური სტადიონი/ ფუნქციონირებაზე გაიხარჯა (სუბსიდია) 185000 ლარი, გეგმის 100%-ი. მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე გაიხარჯა 23400 ლარი, საქონელი და მომსახურებაზე 146649 ლარი, აქედან შტატგარეშე მუშაკთა ანაზღაურებაზე 111827 ლარი. შ.პ.ს. ქალთა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის „ლანჩხუთი“-ს საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 154000 ლარი, გეგმის 100%-ი. შრომის ანაზღაურებაზე მიიძღვრება 16896 ლარი, საქონელი და მომსახურება 137104 ლარი, აქედან შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 137104 ლარი.

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა 5312,3 ათასი ლარი, აღნიშნული ნაშთს შეადგენს სახ. ბიუჯეტიდან გამოყოფილი განკარგულებების ნაშთი შეადგენს 2282,8 ლარს, 3029,5 ლარი წარმოადგენდა თავისუფალ ნაშთს.

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 16808,1 ათასი ლარით, რაც გეგმის 96,4 პროცენტია.

დასუფთავების და გარემოს დაცვის ღონისძიებები 2021 წლის განმავლობაში დაფინანსდა 1522,6 ათ ლარით, რაც გეგმის 1537,2 ათასი ლარი, 99,0 პროცენტია.

საგანმანათლებლო ღონისძიებები 2021 წლის განმავლობაში დაფინანსდა 3172,4 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის - 3634,64 ათასი ლარი, 87,3,3 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებაზე მიმართული იქნა 2586,1 ათასი ლარი.

სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ ღონისძიებებზე გაწეული იქნა 2625,5 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2812,2 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 93,4 პროცენტი. აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 1324,6 ათასი ლარი, კულტურის განვითარებას - 1288,9 ათასი ლარი, ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა - 12,0 ათასი ლარი, რელიგიის დაფინანსება-68,5 ათასი ლარი.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 99,4% 101,7-ით (გეგმა 853,5 ათასი, ფაქტი 868,4 ათასი ლარი). მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსებას მოხმარდა 164,9 ათასი ლარი, ხოლო სოციალურ დაცვას 703,5 ათასი ლარი. პროგრამის მიხედვით განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა, ავადობის აქტიური გამოვლენა და დაავადებების აღმოფხვრის მიზნითა და რისკფაქტორთა დადგენა, ასევე სანიტარულ-ჰიგიენური პირობების კონტროლი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ შესაბამის ობიექტებზე.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ მალე გაუდის ვადა სუფსის ნავთობტერმინალთან და სუფსის სატვირთო ნავსადგურთან მუნიციპალიტეტის მიერ დადებულ ძველ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ეს ობიექტები ვათავისუფლებული იყვნენ გადასახადებისგან, მაგრამ ახლა უნდა მომზადდეს ახალი, იურიდიულად გამართული მყარი დოკუმენტი ფინანსთა სამინისტროში წარსადგენად, რომლის მიხედვითაც სუფსის ნავსადგურში გემების მომსახურებიდან და ნავთობტერმინალიდან მიღებული თანხის 2% უნდა აისახოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლით ნაწილში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ფინანსთა სამინისტროდან მის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, აღნიშნული ხელშეკრულება არის 25 წლიანი და მას ვადა გასდის 2024 წელს, რა დროისთვისაც ეს საკითხი მისი და ფინანსთა სამინისტროს ნაყოფიერი თანამშრომლობით აუცილებლად იქნება მოგვარებული მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი. მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N28(28.04.2022)

სხვადასხვა საკითხები:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში ტურისტული ინფრასტრუქტურული ობიექტების მოსაწყობად გრანტის და სოფლის პროგრამის ფარგლებში დაახლოებით 55000 ლარია დახარჯული, მაგრამ სამშენებლო სამუშაოები შეჩერებულია, რადგან კერძო მესაკუთრე უსაფუძვლოდ, საბუთის გარეშე ამბობს, რომ

ფართის გარკვეული მონაკვეთი არის მისი საკუთრება. აქედან გამომდინარე, ეს პიროვნება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მოეწყოს ტურისტული ინფრასტრუქტურული ობიექტები და შეიქმნას შესაბამისი გარემო. მისი თქმით, რეალურად, აღნიშნული მიწის ნაკვეთი ირიცხება მუნიციპალიტეტის ბალანსზე და საჭიროა კანონის ფარგლებში, დროულად გატარდეს გარკვეული ღონისძიებები აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რომ ეს ტერიტორია საერთოდ ამოღებული იქნას ტურისტული ობიექტების ჩამონათვალიდან და დახარჯული თანხები და გაწეული სამუშაოები იქნება ფუჭი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ საჭიროა ოფიციალურად დადგინდეს ვინ არის სადაო ფართის კანონიერი მესაკუთრე და მუნიციპალიტეტი მზადაა ტურისტული ინფრასტრუქტურული ობიექტების მოსაწყობად დახმარებისთვის.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ვერიკო კვიციანი** დაინტერესდა, ლანჩხუთის სკვერში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებში გათვალისწინებულია თუ არა იმ ტერიტორიის მოწესრიგება, სადაც განთავსებულია ბავშვთა გასართობი ატრაქციონები, რაზეც მუნიციპალიტეტის მერისგან მიიღო დადებითი პასუხი.

საკრებულოს წევრი **ირმა მგელაძე** დაინტერესდა, მოგვარდა თუ არა სახანძრო-სამაშველო სამსახურისთვის ტექნიკის განახლების საკითხი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ სახანძრო-სამაშველო სამსახურს უკვე გადაეცა ერთი ერთეული ყველგანმავალი სახანძრო მანქანა და უახლოეს მომავალში ელოდებიან მეორე მანქანის ჩამოსვლას.

საკრებულოს წევრი **ელიზა ჭიჭინაძე** დაინტერესდა, რომელი სამსახური მუშაობს სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების დასაქმების პროგრამაზე, რადგან არის პრეცედენტი, რომ ერთი ოჯახიდან დასაქმებულია 2-3 წევრი და სხვა ოჯახიდან არც ერთი, რაც ამ ბენეფიციართა შორის უკმაყოფილების მიზეზი გახდა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე **კარლო წილოსანი** დაინტერესდა, შესაძლებელია თუ არა სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების პროგრამით შშმ პირების დასაქმება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების დასაქმების პროგრამაზე, მუშაობს სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც თავად აფორმებს ხელშეკრულებას ბენეფიციარებთან მომართვის რიგითობის მიხედვით.

მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ **ეკატერინე გუჯაბიძემ** აღნიშნა, რომ არ არის ვალდებულია შშმ პირები დასაქმდნენ სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების დასაქმების პროგრამით.

საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გოჩა ჯანაშიამ** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ტექნიკური წყლის სისტემის ექსპლუატაციის განყოფილებას არ აქვს შესაბამისი სამუშაო იარაღები, რათა სრულფასოვნად შეასრულონ დაკისრებული მოვალეობები. მისი თქმით, კარგი იქნება, თუ სოფელ ქვიანში მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების გასაუმჯობესებლად სისტემას უზრუნველყოფენ გენერატორით და კომპრესორით.

საკრებულოს წევრი **ჯუმბერ ბლაგიძე** დაინტერესდა, რა რაოდენობის თანხით დაეხმარება სახელმწიფო მოსახლეობას ხვნა-თესვაზე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ სახელმწიფო მოსახლეობას ხვნა-თესვაზე დაეხმარება 0,25ჰა-დან 1,25 ჰა-მდე დარეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართის შესაბამისად მაქსიმუმ 300 ლარიანი ვაუჩერით, რომელსაც გასცემს „ლიბერთი ბანკი“ შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა დასწრების
სარეგისტრაციო ფურცელი

28 აპრილი 2022 წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11:00	
2	ემზარ თევდორაძე	12:00	
3	ვერიკო კვიციანი	11:30	
4	გიორგი ჩახვაძე	11:55	
5	გიორგი ხელაძე	11:55	
6	ალექსანდრე მახათაძე	11:00	
7	ზაზა წულაძე	11:50	
8	კარლო კვიციანი	11:50	
9	გიორგი იმნაიშვილი	10:50	
10	ია მოქია	11:55	
11	კახაბერ ასკურავა	-	
12	მაკა მშვიდლობაძე	11:50	
13	ვლადიმერ ნანაძე	11:50	
14	კარლო წილოსანი	11:55	
15	ლოლიტა ურუშაძე	11:55	
16	ნინო მშვიდლობაძე	11:55	
17	გოგი მორჩილაძე	11:00	
18	სპარტაკ კვაჭაძე	11:52	
19	გიორგი გოგუაძე	11:45	
20	გორა ჯანაშია	11:50	
21	ელისო ჭიჭინაძე	11:55	
22	რევაზ კვერნჩილაძე	11:00	
23	კახა თედორაძე	-	

24	დარეჯან ბურჭულაძე	—	
25	ირმა მგელაძე	ა. ბერი	
26	გივი ცინცაძე	მ. მ. მ.	
27	ჯუმბერ ზღაგაძე	ჩ. ს. მ.	ქ. მ. მ.